



შპს აქსეს ტრანს ჯორჯია

ACCESS TRANS GEORGIA LLC

შპს აქსეს ტრანს ჯორჯიას

2019 წლის ფინანსური

ანგარიშგება

(31 დეკემბრის მდგომარეობით)

0108 თბილისი, მ. კოსტავას გამზ. № 3
ტელ.: (+ 995 32) 299 06 26/27
ელ-ფოსტა: info@expedition.ge

0108 Tbilisi, M. Kostava Ave. 3
TEL: (+995 32) 299 06 26/ 27
E-mail: info@expedition.ge

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება	2
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები.....	3
1. ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა.....	3
2. შედგენის საფუძველი	3
3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა	4
4. ძირითადი საშუალებები	7
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	7
6. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	7
7. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან.....	8
8. მომსახურების თვითღირებულება	8
9. ადმინისტრაციული ხარჯები.....	8

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2019 წელი	31 დეკემბერი, 2018 წელი
მიმდინარე აქტივები			
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	6	634,554	324,892
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	2,035,652	365,890
საქონელი		2,838	2,838
გადახდილი მოგების გადასახადი		21,975	21,975
სხვა მიმდინარე საგადასახადო აქტივი		18,615	47,263
სხვა მიმდინარე აქტივები		9,196	4,427
		2,722,829	767,284
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	38,171	45,688
არამატერიალური აქტივები		609	761
		38,780	46,449
სულ აქტივები		2,761,609	813,733
მიმდინარე ვალდებულებები			
მოწოდებიდან და მომსახურებიდან		173,803	154,125
წარმოქმნილი ვალდებულებები		2,040,142	80,407
მიღებული ავანსები		11,110	2,053
საგადასახადო ვალდებულებები		9,329	9,329
გადასახდელი პროცენტი		2,730	2,545
სხვა მიმდინარე ვალდებულებები			
		2,237,113	248,460
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		17,600	17,600
გაუნაწილებელი მოგება		506,896	547,673
		524,496	565,273
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2,761,609	813,733

შპს „აქსეს ტრანს ჯორჯია“-ის
დირექტორი ზაფერ კაპრამანი

ზ. Khevanashvili



მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2019 წელი
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	7	22,912,456
მომსახურების თვითღირებულება	8	(22,062,939)
საერთო მოგება		849,517
საოპერაციო ხარჯები		
დასაქმებულთა ანაზღაურება		(558,770)
ცვეთა და ამორტიზაცია		(9,695)
სხვა საოპერაციო ხარჯი	9	(152,169)
		(720,634)
საოპერაციო მოგება		128,883
არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
საპროცენტო შემოსავალი		23,239
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		(186,310)
		(6,000)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		(40,188)
მოგების გადასახადი		(588)
მოგება/(ზარალი)		(40,777)

შპს „აქსეს ტრანს ჯორჯია“-ს
დირექტორი ზაფერ კაპრამანი

ზ. ლომიძე



ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1. ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს „აქსეს ტრანს ჯორჯია“ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) შესაბამისად 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

შპს „აქსეს ტრანს ჯორჯია“ დაარსდა ქთბილისში, 2010 წლის 29 სექტემბერს არაბთა გაერთიანებულ საემიროებში რეგისტრირებული „ანატოლია ჰოლდინგ კომპანი ლიმიტედ 125534“ – ის მიერ და დღემდე კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 406035008

ხელმძღვანელობა წარმომადგენლობა
დირექტორი – ზაფერ კაპრამანი, თურქეთი

კომპანიის ძირითად საქმიანობას გახსნის დღიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოადგენს სატრანსპორტო – საექსპედიტორო მომსახურებას (სარკინიგზო გადაზიდვები)
კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ისანი-სამორის რაიონი მატროსოვის ქ. №13

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2.2 გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში, რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი წარდგენა არის უფრო გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის.

შპს „აქსეს ტრანს ჯორჯია“-ს
დირექტორი ზაფერ კაპრამანი

ზ. კაპრამანი



2.4 შეფასებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშების “ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და პასივების ანგარიშგებაზე ფინანსური ანგარიშების თარიღისათვის, აგრეთვე შემოსავლებზე და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები - ფინანსური ანგარიშების მომზადებისას ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საბალანსო ანგარიშების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677ლარს და ევრო 3.2095ლარს (2018 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6766ლარი და 3.0701ევრო). არაფულადი ერთეულები არაა გადაანგარიშებული პერიოდის ბოლო კურსით და მისი აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით).

საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაანგარიშებით მოგება-ზარალის ანგარიშში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწვიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში.

შპს „აქსეს ტრანს ჯორჯია“-ს
დირექტორი ზაფერ კაპრამანი

ზ. ზაფერ კაპრამანი



3.3 არამატერიალური აქტივები

შემენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილი თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება- ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით - წლის გაანგარიშებით.

3.4 კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღირიცხება, მიღებული შემოსავლით.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალებს.

3.5 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

გადავადებული გადასახადი 2017 წლის 1 იანვრამდე

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (სხვა ვიდრე ბიზნეს კომბინაცია), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გაველენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

შპს „აქსეს ტრანს ჯორჯია“-ს
დირექტორი ზაფერ კაპრამანი

ზ. ჰოლანაი



გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიირებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც

მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

3.6 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გაკეთებული ფასდაკლებები და ფასდათმობები.

კომპანიის შემოსავალი მცირდება მოსალოდნელი დაბრუნებებისგან, ფასდაკლებებისგან და სხვა დათმობებისგან.

რეალიზაცია

შემოსავალი შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს მომსახურება;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- შესაძლოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური მოგება ასოცირებული იყოს კომპანიასთან;
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული

შპს „აქსეს ტრანს ჯორჯია“-ს
დირექტორი ზაფერ კაპრამანი

ზ. ლომიძე



4. ძირითადი საშუალებები

	31 დეკემბერი, 2019 წელი	31 დეკემბერი, 2018 წელი
ოფისის აღჭურვილობა	6,565	6,179
ავეჯი და სხვა ინვენტარი	6,353	7,941
სატრანსპორტო საშუალებები	25,254	31,567
	38,171	45,688

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2019 წელი	31 დეკემბერი, 2018 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	265,895	281,909
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	2,686	1,915
მოთხოვნები ხელმძღვ. და სამეთვ.ორგ.წევრ.მიმართ	1913.71	3001.69
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1,765,158	79,065
	2,035,652	365,890

6. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

	31 დეკემბერი 2019 წელი	31 დეკემბერი 2018 წელი
ფული სალაროში	1,453	1453
საბანკო ანგარიშები	633,101	323,439
	634,554	324,892

შპს „აქსეს ტრანს ჯორჯია“-ს
დირექტორი ზაფერ კაპრამანი

ზ. Mohtashumi



7. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

	31 დეკემბერი, 2019 წელი
გაწეული მომსახურებიდან (საერთაშორისო)	21,904,628
გაწეული მომსახურებიდან (ადგილობრივი)	969,070
სხვა შემოსავლები	38,758
	22,912,456

8. მომსახურების თვითღირებულება

	31 დეკემბერი, 2019 წელი
გაწეული მომსახურების თვითღირებულება (საერთაშორისო)	21,217,121
გაწეული მომსახურების თვითღირებულება (ადგილობრივი)	845,818
	22,062,939

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
იჯარა	109,703
მოვლა-შეკეთების ხარჯი	4,225
კომუნიკაციის ხარჯი	10,593
კომუნალური ხარჯი	5,706
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	7,383
სადაზღვეო ხარჯი	3,061
სხვა ხარჯები	11,498
	152,169

შპს „აქსეს ტრანს ჯორჯია“-ს
დირექტორი ზაფერ კაპრამანი

ზ. Kapanadze

